საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოკაია მერაბ გივის ძე

კოკაია მერაბ გივის ძე (დ. 16. III. 1956, თბილისი), ბიოლოგი, ფიზიოლოგი. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (2008). 1978 დაამთავრა თსუ-ის ბიოლოგიის ფაკ-ტი ბიოფიზიკის სპეციალობით. სამეცნ. კვლევა დაიწყო ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლ. ინ-ტში.

კ. გაცვლითი პროგრამით გაემგზავრა შვედეთში. ლუნდის უნ-ტში მუშაობდა ნერვული უჯრედების ტრანსპლანტაციაზე ეპილეფსიის ცხოველურ მოდელებში (1986–87). იყო ამავე უნ-ტის თანამშრომელი (1998) ექსპერ. ნევროლოგიაში; ვალენბერგის ნევროლოგიის ცენტრში (შვედეთი) – ექსპერ. ეპილეფსიის კვლევითი ლაბორ. გამგე (2006); ეპილეფსიის ცენტრის დირექტორი (2013); დიდი კოლაბორაციული ევროპული კომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის EPITARGET კოორდინატორი (2013–18) ეპილეფსიის კვლევაში. ილიას სახ. სახელმწ. უნ-ტის მოწვეული პროფესორი (2011).

კ-ის სამეცნიერო კვლევები გამოქვეყნებულია საერთაშ. სამეცნ. ჟურნალებში (Neuron, PNAS, Brain, J. Neurosci., J Clin. Inv., Neurobiol. Dis., Gene Therapy, PLOS ONE, Hippocampus, Molecular Therapy და სხვა). მიღებული აქვს პატენტები აშშ-ში [ნუკლეინის მჟავების თანამიმდევრობათა გამოყენება ნევროლოგიური და ფსიქიატრიული დაავადებების დროს, ვექტორები და ნაერთები (2014); ნუკლეინის მჟავების თანამიმდევრობათა გამოყენება ეპილეფსიის მკურნალობაში (2014); ცერებრული იშემიისა და ცერებრული დაზიანების მკურნალობა ნეიროპროტექტორული აგენტებით (1999)].